

# პროექტის "ნარჩენები სტრატეგია გარემოს სტატუსის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

ელექტრონული ბიულეტენი #28


საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში

## BSB257 ZEWSGES (Zero Waste Strategy for a Good Environmental Status) Project

ZEWSGES პროექტის ეკოსაგანამანათლებლო პროგრამა და მისი მიღწევები

ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები



ცხრილი 1 ZEWSGES ეკოსაგანამანათლებლო პორტალი

ეკოსისტემის საგანმანათლებლო პროგრამის (EEP) მონაცემთა ბაზა მომზადდა და განთავსდა პროექტის ინტერნეტ გვერდზე (<https://zerowastebsb.net/>). მონაცემთა ბაზა მოიცავს საგანმანათლებლო პორტალს, შესაბამის ვიდეოებს, ინტერნეტ თამაშს, პოსტერს, ბროშურას და ტრენინგის სახელმძღვანელოს (ცხრილი 1)

**საგანმანათლებლო პორტალი** A ყველა პარტნიორი ქვეყნის სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მონაცემები ინახება პროექტის ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზაში. მონაცემთა ბაზას მართავენ გენერალური ადმინისტრატორი (წამყვანი ქვეყნის უფლებამოსილი პირი), ქვეყნის ადმინისტრატორები (თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში ეკოსისტემის განათლების კოორდინატორები), სკოლის ადმინისტრატორები და მასწავლებლები. გენერალური ადმინისტრატორი არეგისტრირებს ქვეყნის ადმინისტრატორებს. ქვეყნის ადმინისტრატორები არეგისტრირებენ სკოლებს, სკოლის ადმინისტრატორებს, მასწავლებლებს და სტუდენტებს. სკოლის ადმინისტრატორები არეგისტრირებენ მასწავლებლებს თავიანთ სკოლებში და მასწავლებლებს აქვთ უფლებამოსილება დაარეგისტრონ მოსწავლეები თავიანთ სკოლებში.



# პროექტის "ნარჩენები სტრატეგია გარემოს სტატუსის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

ელექტრონული ბიულეტენი #28

## საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში

სისტემაში რეგისტრირებული ყველა ადამიანი შემოდის პირადი იუზერით და პაროლის გამოყენებით.

**საგანმანათლებლო ვიდეოები:** 19 მოკლე ვიდეო, რომელიც მთლიანობაში დაახლოებით 40 წუთს მოიცავს, მომზადდა ყველა მონაწილე ქვეყნის ენაზე და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბუნების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას.

**ინტერნეტ თამაში:** თამაშის რუქა და დამახასიათებელი ელემენტები შეიქმნა ფიერვორკის და Photoshop-ით და განზომილება დაედო Auto-Cad-ით. ვიდეო თამაში ადაპტირებულია თითოეული ქვეყნის სამიზნე რეგიონის რუქაზე და თამაში შესაძლებელია თითოეული ქვეყნის საკუთარ ენაზე. პერსონაჟები, რომლებიც თამაშობენ ამ ქვეყნების ტიპურ ანარეკლებს წარმოადგენენ ვიზუალურად. თამაში შედგება 4 (ოთხი) დონისგან. თამაშის პირველი დონე მიზნად ისახავს ასწავლოს მოთამაშეებს, ბუნების დაცვის მნიშვნელობა ნარჩენების შეგროვებით კონტეინერის მსგავსი მოწყობილობით ნარჩენების შეგროვების ადგილებში დაბინძურებული ნიადაგის ძებნით.

როცა მოთამაშე გაივლის პირველ დონეს, გადავა შემდეგ ეტაპზე. მეორე დონეზე, გარემოს დაცვის მნიშვნელობა შესწავლილია ნარჩენების შეგროვებით ხალხის მიერ დაბინძურებული ზღვის, ტბებისა და სანაპიროების ძიებით და დაბინძურებული ტერიტორიის გაწმენდით. თამაშის მესამე დონე მიზნად ისახავს ასწავლოს მოთამაშეებს გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო სიფრთხილის ზომების მიღების და ნარჩენების დაბინძურების თავიდან აცილების მეთოდები. თამაშის ბოლო დონე ცდილობს ასწავლოს თავაზიანობა ძალისხმევის წახალისების მიზნით ადამიანების სწორი ქცევის შესახებ გარემოს სისუფთავისა და მისი მნიშვნელობისათვის ცხოვრებაში.

**DVD:** საგანმანათლებლო მასალები, მასწავლებლის სახელმძღვანელოს ჩათვლით, მომზადებულია DVD ფორმატში და დუბლირებულია ოთხ ენაზე, რათა მოხდეს მასწავლებლებისა და სტუდენტების პირისპირ სწავლება.

**პოსტერი-ბროშურა:** ვიზუალური გავლენის გასაზრდელად და ეკოსისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიქმნა პლაკატები და ბროშურები როგორც პარტნიორი ქვეყნების ენებზე, ასევე ინგლისურად, ისინი დაიბეჭდა და გავრცელდა პარტნიორ ქვეყნებში.

**ტრენინგის სახელმძღვანელო:** ტრენინგის სახელმძღვანელო მომზადდა ოთხ ენაზე.

**ვებინარი:** 2020 წლის მარტში COVID-19 პანდემიის გამო, სკოლებში ყველა შეხვედრა და პირისპირ ტრენინგი აიკრძალა. ჩვენ გავაგრძელებთ სწავლებას ვებინარის საშუალებით. ჩვეულებრივ გამოყენებულ ვებინარულ საშუალებებს, როგორცაა Zoom, Google Meet, უარი ეთქვა სტუდენტების მონაცემების უსაფრთხოების გამო. შემუშავდა ZEWSGES ვებინარის პროგრამული უზრუნველყოფა. ყველა დარჩენილი მასწავლებელი და სტუდენტი გადამზადდა ამ პროექტის საკუთარი ვებინარული პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.



# პროექტის "ნარჩენები სტრატეგია გარემოს სტატუსის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი

ელექტრონული ბიულეტენი #28

## საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში

**საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელება:**


**თურქეთი:** სულ 2273 მოსწავლე და 120 მასწავლებელი 60 სკოლიდან;

**ბულგარეთი:** სულ 520 studმოსწავლე და 55 მასწავლებელი 5 სკოლიდან

**უკრაინა:** 41 მასწავლებელი და 1541 მოსწავლე დატრენინგდა 15 სკოლაში.

**საქართველო:** 300 მოსწავლე და 10 მასწავლებელი 4 სკოლიდან.

სკოლების, მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობა რომელიც ჩართული იყო საგანამანათლებლო აქტივობებში მოცემულია ცხრილი#2



ცხრილი 2. The სკოლების, მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობა რომელიც ჩართული იყო საგანამანათლებლო აქტივობებში

EEP დეტალები ხელმისაწვდომია <https://zerowastebbsb.net/Events/Category/11/EEP->

მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი

გამოქვეყნების თარიღი: 29 იანვარი, 2021წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.



Project funded by  
EUROPEAN UNION

